ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03/151-15

ქ. თბილისი 09 ივლისი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, მისი ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბეჟან თურმანიძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორე მხრივ, შპს „ფლაგ არტი” მისი დირექტორის, რომან დარჩიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) დროშების შესყიდვა **(CPV35821000)** შემდეგი პირობების შესაბამისად:

დასახელება	*რაოდენობა (ცალი)*	*ერთეულის ფასი (ლარი)*	*მთლიანი ღირებულება (ლარი)*
დროშა *(საქართველოს სახელმწიფო, ორმ. 100X150)*	1	150	150
დროშა *(ევროკავშირის, ორმაგი 100X150)*	1	175	175
დროშა *(თეთრი საფირმო, ლოგოთი, ორმაგი 100X150)*	1	150	150
დროშის სადგამი ფიქსატორით H-220	3	190	570
ჯამი			**1045 ლარი**

1.2 შესყიდვის წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

1.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ და ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1045 (ერთიათას ორმოცდახუთი)** ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) სამუშო დღის ვადაში.

3.2 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენის და დადასტურების ან/და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელთან განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემსყიდველისათვის წარდგენიდან, ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას პუნქტი 5.2 წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარისწორებაზე.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

გ) ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წერილობითი ფორმით, ან ამ ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის წუნის შესახებ.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და წესის შესაბამისად დროულად აღმოფხვრას შესყიდვის ობიექტის წუნი;

გ) ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა). თუ ვალდებულების

ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა).

9.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.6 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას მოლაპარაკების გზით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 28 აგვისტომდე.

მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“	შპს „ფლაგ არტი“
ქ.თბილისი, პეკინის №29; ს/კ: 205146493	ქ. თბილისი, კალოუბნის ქ.№40
ტ: 237 00 63; 238 11 61;	ს/კ 206160018
ელ-ფოსტა: ddakhundaridze@hsoj.ge	ტ: 2 76 15 12(13); 599 57 31 46;*(თემური)*
სახელმწიფო ხაზინა,	ელ-ფოსტა: info@flagart.ge
ხაზინის კოდი: TRESGE22	სს „საქართველოს ბანკი”
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE72BG0000000894356101
ბეჟან თურმანიძე;	რომან დარჩიაშვილი
ფინანსების მართვისა და ლოგისტიკის	დირექტორი
დეპარტამენტის უფროსი	

მიღება–ჩაბარების აქტი: **№03/151-15**

10 ივლისი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, წარმოდგენილი მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსის, ნიკოლოზ ბუაჩიძის სახით - "შემსყიდველი" და მეორე მხრივ, შპს „ფლაგ არტი" მისი დირექტორის, რომან დარჩიაშვილის სახით - „მიმწოდებელი“ ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2015 წლის 09 ივლისს დადებული №03/151-15 ხელშეკრულების (საქონლის შესყიდვის შესახებ) თანახმად, შპს „ფლაგ არტი"-ს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, (მიწოდებული იქნა საქონელი,

დასახელება	*რაოდენობა (ცალი)*	*ერთეულის ფასი (ლარი)*	*მთლიანი ღირებულება (ლარი)*
დროშა *(საქართველოს სახელმწიფო, ორმ. 100X150)*	1	150	150
დროშა *(ევროკავშირის, ორმაგი 100X150)*	1	175	175
დროშა *(თეთრი საფირმო, ლოგოთი, ორმაგი 100X150)*	1	150	150
დროშის სადგამი ფიქსატორით H-220	3	190	570
ჯამი			**1045 ლარი**

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას და ვადებში) და მიწოდებული საქონლის ღირებულება **1045 (ერთიათას ორმოცდახუთი)** ლარი ექვემდებარება ანაზღაურებას სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

"შემსყიდველი"
სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სექტორის უფროსი

ნიკოლოზ ბუაჩიძე

"მიმწოდებელი"
შპს „ფლაგ არტი"
დირექტორი

რომან დარჩიაშვილი

კორექტირების თარიღი: 10/07/2015 16:37:11

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0183774519

2	10/07/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	16:30:42

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ფლაგ არტი	206160018
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	იუსტიციის უმაღლესი სკოლა	205146493
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ თბილისი კალოუბნის ქ 40

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქ თბილისი პეკინის 29

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	MAK769

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	01001006234 დავით

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	დროშა (საქართველოს სახ. დროშა ორმ.100X150)	02/1	ცალი	1.0000	150.0000	150.0000
2	დროშა (ევროკავშირის ორმაგი 100X150)	03/1	ცალი	1.0000	175.0000	175.0000
3	დროშა (თეთრი საფირმო, ლოგოთი,ორმაგი 100X150)	54/4	ცალი	1.0000	150.0000	150.0000
4	დროშის სადგამი ფიქსატორით H-220	135	ცალი	3.0000	190.0000	570.0000

13	1045 - ერთი ათას ორმოცდახუთი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	10/07/2015	16:38:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 10/07/2015, 18:07:12

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

გადაგზავნილი

1	ეა-04 4717450

3	ივლისი	2015

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	10	ივლისი	2015

გამონერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	0	6	1	6	0	0	1	8	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ფლაგ არტი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	5	1	4	6	4	9	3	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	იუსტიციის უმაღლესი სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
დროშის სადგამი ფიქსატორით H-220	ცალი	3.0000	570.0000	86.9500	0.0000
დროშა (ევროკავშირის ორმაგი 100X150)	ცალი	1.0000	175.0000	26.6900	0.0000
დროშა (თეთრი საფირმო, ლოგოთი,ორმაგი 100X150)	ცალი	1.0000	150.0000	22.8800	0.0000
დროშა (საქართველოს სახ. დროშა ორმ.100X150)	ცალი	1.0000	150.0000	22.8800	0.0000
		სულ	1045	159.4	0

	სასაქონლო ზედნადების No		თარიღი
7	0183774519	8	10 - ივლისი - 2015 04:30

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის
ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე
ხელმოწერა_____ბ.ა.